

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ძვირფასო მომხმარებელო, მადლობა რომ აგვირჩიეთ ჩვენ. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით, შპს ითენისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია მომხმარებლის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, მისი გავრცელებისა და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება. შესაბამისად, კომპანია განსაზღვრავს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომელიც მომხმარებელთან და საკურიერო მომსახურების განმახორციელებელ პირებთან დადებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული კონფიდენციალურობის პოლიტიკა უზრუნველყოფს როგორც კომპანიის კომერციული/საქმიანი ინტერესების დაცვას, ასევე, მასთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების მხრიდან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას და მათ დამუშავებას აღნიშნული წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

მონაცემთა დამუშავება ხდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად, მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული, კანონიერი მიზნებისთვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია აღნიშნული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

1. მომხმარებლის მონაცემთა მოპოვება

1.1 შპს ითენ მოიპოვებს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლის მიერ აღნიშნულ ვებგვერდზე განხორციელებული მოქმედებების შედეგად.

1.2 მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გავლის შემდეგ, კომპანიისთვის ცნობილი ხდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) მომხმარებლის სახელი და გვარი;
- ბ) მომხმარებლის დაბადების თარიღი;
- გ) მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- დ) მომხმარებლის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ე) მომხმარებლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი;

ვ) შეკვეთის განხორციელების პროცესში, შეკვეთის მიწოდების მიზნიდან გამომდინარე, მომხმარებლის ფიზიკური განთავსების ადგილი (იქნება ეს მისი საცხოვრებელი სახლი, სამუშაო ადგილი, დროებითი განთავსების ადგილი თუ სხვა, მისივე მითითების დროს);

ზ) მომხმარებლის მიერ მითითებული საკრედიტო ბარათის მონაცემები;

თ) მომხმარებლის მიერ შეკვეთის განხორციელების დროს მოწოდებული სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მომსახურების სრულად და ჯეროვნად განსახორციელებლად;

ი) მომხმარებლის მიერ საიტზე სოციალური ქსელის ან/და ელექტრონული ფოსტით რეგისტრაციის/ავტორიზაციის შემთხვევაში, ის ინფორმაცია, რომელიც მას ეცნობება აღნიშნული რეგისტრაციის/ავტორიზაციის განხორციელების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ცნობილი გახდა კომპანიისთვის და არ ექვემდებარება საჯარო გავრცელებას;

1.3 მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და ნამდვილი, მასში ცვლილების შეტანის დროს, მომხმარებელი ვალდებულია, განაახლოს იგი.

1.4 შპს ითენ უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაამუშავოს იმ მოცულობით და იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებელია შეკვეთის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულებებისა და მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

1.5 მოწოდებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. მოპოვებული მონაცემების გამოყენება

2.1 შპს ითენ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას იყენებს იმ მიზნებისთვის, რომელიც აუცილებელია ეფექტური მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად;

2.2 შპს ითენ განხორციელებული შეკვეთების, შეკვეთის ადგილმდებარეობის, შეკვეთის ხანგრძლივობის, მომხმარებლის მიერ გამოვლენილი უკუკავშირის, ორმხრივი კომუნიკაციის შედეგად გამოვლენილი ნების, წამოჭრილი პრობლემატური/არა პრობლემატური ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, მიზნად ისახავს, გააუმჯობესოს მიტანის სერვისის ხარისხი, შეიმუშავოს მომხმარებელზე ორიენტირებული პოლიტიკა, მათ შორის, მოიძიოს დამატებითი ბიზნეს-პარტნიორები, რაც, საერთო ჯამში, მომსახურებას უფრო მეტად ეფექტიანს გახდის;

2.3 შპს ითენ უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ გამოვლენილი თანხმობის საფუძველზე, მომხმარებლის მიერ მოწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გააგზავნოს სარეკლამო შინაარსის წერილები, ინფორმაცია საბონუსე სისტემის გამოყენების შესახებ და ყველა სხვა სახის მონაცემი, რომელიც მიზნად ისახავს შპს ითენის საკურიერო მომსახურების პოპულარიზაციას. აღნიშნული წერილების გაგზავნა შპს ითენის უფლებამოსილებაა და მომხმარებლის მიერ საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირების შემთხვევაში, კომპანიას აღნიშნული უფლებამოსილება ერთმევა;

3. მოპოვებული მონაცემების დამუშავება პარტნიორ ორგანიზაციებთან და კურიერებთან

3.1 როგორც მომხმარებლისთვის ცნობილია, შპს ითენ უშუალოდ არ ახორციელებს საკურიერო მომსახურების ობიექტის დამზადებას, (მაგალითად, საკვები პროდუქტის დამზადებას), არამედ, მომხმარებლის მიერ შპს ითენის დახმარებით პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კურიერის დახმარების მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციას და კურიერს აწვდის ამ მუხლში ჩამოთვლილ ინფორმაციას;

3.2 კერძოდ, შეკვეთის გაგზავნის ან/და დადასტურების დროს პარტნიორ ორგანიზაციას/კურიერს, შეკვეთის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, დამატებითი ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, მიეწოდება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) მომხმარებლის სახელი;
- ბ) მომხმარებლის მისამართი;
- გ) მომხმარებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

დ) შეკვეთის შინაარსი;

4. მოპოვებული მონაცემების დამუშავება მესამე პირებისთვის

4.1 შპს ითენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, ვალდებულია, არ გადასცეს ინფორმაცია გარეშე პირს, გარდა აღნიშნული კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

4.2 კერძოდ, შპს ითენ, გარდა აღნიშნული კონფიდენციალურობის პოლიტიკით/მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა, მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);

5. კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ცვლილების ან/და დამატებების შეტანის წესი

5.1 შპს ითენ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, რაც უნდა წარმოადგენდეს მომსახურების ეფექტურად განხორციელებისთვის გამოზნულ ქმედებას ან/და საჭირო იყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების იმპლემენტაციისთვის;

5.2 შპს ითენ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ცვლილების ან/და დამატების განხორციელების დროს აღნიშნულს (განახლებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკას) გამოაქვეყნებს ვებგვერდზე, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;

6. მომხმარებლის მიერ საკუთარი პერსონალური მონაცემების გადამოწმება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმართოს კომპანიას და მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, ინახება თუ არა კომპანიის ბაზაში მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, აგრეთვე, მოითხოვოს დაცული პერსონალური ინფორმაციის მისთვის გადაცემა, ისევე, როგორც, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.